www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 14 აგვისტო, 2013 წელი. | №3344 (151) | ფასი 50 თეთრი

ჩხუბი სასამართლოს ეზოში

აქციის ფონზე გამართული ბაჩო ახალაიას პროცესი

თიკა ნიკოლაძე

შვიდი სპეცრაზმელის წამების“ საქმის განხილვა დამთავრებულია. ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულების განაჩენი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. მოსამართლემ დავით მგელიაშვილმა გადაწყვეტილების მისაღებად რამდენიმე დღე ითხოვა. მხარეები გადაწყვეტილების მიღების ზუსტ თარიღს ერთი დღით ადრე შეიტყობენ.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

მერია თბილისის ბიუჯეტის გაზრდას ითხოვს

მაგდა ლეკიაშვილი

თბილისის საკრებულოს წევრებს მერმა გიგი უგულავამ საბიუჯეტო ცვლილებების პროექტი წარუდგინა. პაკეტი გულისხმობს ბიუჯეტის კორექტირებას სხვადასხვა მიმართულებებით. ცვლილებების თანახმად, დაგეგმილია მუნიციპალური ტრანსპორტის, ავტობუსების პარკის განახლება, საბავშვო ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, სახელოვნებო სკოლების კეთილმოწყობა და საჭირო ინვენტარით აღჭურვა. გიგი უგულავას განცხადებით, გაწერილი ღონისძიებების განსახორციელებლად ბიუჯეტის მოცულობა 17 მილიონი ლარით გაიზრდება და მთლიანობაში 740 მილიონი ლარით განისაზღვრება. მერიაში ამბობენ, რომ ცვლილებების პროექტი ცენტრალური ბიუჯეტიდან დამატებითი თანხების გამოყოფას არ მოითხოვს. ის 17 მილიონი, რაც ინფრასტრუქტურის დახვეწას სჭირდება, სხვადასხვა წყაროებიდან გაიცემა. კერძოდ, ეს არის პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლები და განვლილ პერიოდში მერიაში ჩატარებული ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე მიღებული სახსრები.

ქალაქის სატრანსპორტო სისტემის უზრუნველყოფის მიზნით მერიას 100-მდე ახალი ავტობუსის შეძენა სურს, რომლებიც, ძირითადად, ყველაზე მიუვალ ადგილებში იმუშავებს. ასევე იგეგმება, რომ თითოეული ავტობუსი ხელმისაწვდომი იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებს მათ გადაადგილებას ქალაქის მასშტაბით.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

1 ოქტომბრის შემდეგ ყველაზე მეტი თანამშრომელი შსს-დან გაათავისუფლეს

«საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს» მიერ გუშინ გამოქვეყნებული ანგარიში 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ პერიოდში საჯარო სამსახურში მომხდარ საკადრო ცვლილებებს მიმოიხილავს.

საანგარიშოდ აღებულია 2012 წლის 20 ოქტომბრიდან 2013 წლის 1 მარტამდე პერიოდი, რადგან, როგორც წესი, პოლიტიკური ან სხვა დისკრიმინაციული ნიშნით ადამიანთა სამსახურიდან გათავისუფლების ან დასაქმების ყველაზე დიდი რისკი სწორედ არჩევნებიდან პირველ რამდენიმე თვეზე მოდის. კვლევა საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციას, ორგანიზაციის წარმომადგენლების მიერ პირისპირ და ტელეფონით ჩატარებულ ინტერვიუებს და მასმედიით გავრცელებული ცალკეული შემთხვევების ანალიზს ეფუძნება.

„მოკლე სტატისტიკური მონაცემები:

არჩევნების შემდეგ საქართველოში მოქმედი საჯარო დაწესებულებებიდან (სამინისტროები, მათ დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები, მუნიციპალიტეტების გამგეობები და საკრებულოები) მთლიანობაში, სულ ცოტა, 5638 თანამშრომელი დაითხოვეს, მათგან 2336 (41 პროცენტი) საკუთარი განცხადების საფუძველზე, რაც ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ ხშირ შემთხვევაში საჯარო მოხელეები საკუთარი ნებით სულაც არ ტოვებდნენ სამსახურს;

საჯარო სამსახურში 7008 ახალი მიღებული თანამშრომლიდან მხოლოდ 257 (4 პროცენტი) დაინიშნა კონკურსის წესით;

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ბრიტანეთი გიბრალტარელების დასაცავად სასამართლოში იჩივლებს?

ბრიტანული გემი გიბრალტართან

ბრიტანეთის მთავრობა ესპანეთის წინააღმდეგ გიბრალტარის საზღვარზე დამატებითი კონტროლის შემოღების გამო „უპრეცედენტო“ სასამართლო სარჩელის შეტანის საკითხს განიხილავს. ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლის სიტყვებით, პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი „უაღრესად იმედგაცრუებულია“ იმით, რომ გასულ უქმეებზე ესპანეთმა ჩხრეკა არ შეწყვიტა, რაც საზღვარზე გრძელი რიგების წარმოშობის მიზეზი გახდა.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6452	⇓
1 ევრო	2.0679	⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746	⇓
1 თურქული ლირა	0.9116	⇓
100 რუსული რუბლი	5.1083	⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

რიოსთვის ძიუდოისტთა ნაკრები გაცხადდა

გიგა გურასაშვილი

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა რიო დე ჟანეიროს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადების ბოლოსწინა შეკრება გუშინ ყვარელში დაასრულა. გუშინდელი დღე ძიუდოს გულშემატკივართათვის იმითაც იყო საინტერესო, რომ რიოში წამსვლელთა ვინაობა უნდა გაცხადებულიყო.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

წიკლაური დატვირთვებს ზრდის

იაპონელი მუსიკოსის ქართული მუზები

ფიროსმანის „შავი ლომი“ და ჭაჭა კეიკო მაცუის ახალ ალბომში

ია ვეკუა

ჩვენი ქვეყანა წლის განმავლობაში რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიებას მასპინძლობს. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული უდავოდ კომპანია «ისტერნ პრომოუშენის» თბილისისა და ბათუმის ჯაზფესტივალები და საჯზსერიებია. ეს უკანასკნელი, ბოლო რამდენიმე წელიწადია, ზამთარი-გაზაფხულის სეზონზე იმართება და თვეში ერთხელ მსოფლიო ჯაზის ვარსკვლავებს მასპინძლობს. ასე იყო წელსაც - 16 თებერვლიდან 5 მაისის ჩათვლით თბილისის ივენთ ჰოლში ხუთი კონცერტი გაიმართა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ზურაბ ხარატიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს?

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ხარატიშვილი გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალურ განცხადებას 15 აგვისტოს დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გააკეთებს.

ცესკო-ს ყოფილი თავმჯდომარე არჩევნებში, სავარაუდოდ, დამოუკიდებელ კანდიდატად იყრის კენჭს.

ზურაბ ხარატიშვილმა ცესკო-ს თავმჯდომარის პოსტიდან წასვლის შესახებ განცხადება გუშინწინ გააკეთა.

ნოქალაქევში, გიორგი მარგველაშვილის წარდგენის შემდეგ, მცირე ინციდენტი მოხდა

როგორც „ინტერპრესნიუსის“ კორესპონდენტი იუწყება, ქალთა კავშირის „ქალები მშვიდობისა და სამართლიანობისთვის“ წევრმა ინგა ქარდავამ სამეგრელოს ყოფილ გუბერნატორსა და ამჟამად პარლამენტის წევრ გურამ მისაბიშვილს თავისი „ნაციონალური“ წარსული შეახსენა და შეურაცხმყოფელი ფრაზებით მიმართა.

ქარდავას განცხადებით, მისაბიშვილის გუბერნატორობის პერიოდში „ქართული ოცნების“ სენაკის მაჟორიტარ კანდიდატ გურამ ოდიშარიას მისაბიშვილის ბრძანებით ნოქალაქევის ისტორიული ძეგლის ეზოში ამომრჩევლებთან შეხვედრის საშუალება არ მიეცა.

„ეს ის მისაბიშვილია, რომელიც 9 წლის განმავლობაში, სამეგრელოში სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის დავალებებს ასრულებდა. დღეს მისი აქ ყოფნა ამაზრზენია. მე ის ინგა ქარდავა ვარ, რომლის ზურგზეც გადავიდა „ქართული ოცნების“ გამარჯვება სენაკში, რომელსაც ეს ვაჟბატონი, ეს კრიმინალი მისაბიშვილი უშლიდა ხელს,“ - განაცხადა ქარდავამ.

მისაბიშვილის განცხადებით კი, ის გიორგი მარგველაშვილის მხარდამჭერია და ქარდავას განცხადებებზე კომენტარის გაკეთება არ სურს.

„ეს არის ერთი ავადმყოფი ადამიანი და მე ავადმყოფებზე კომენტარს არ ვაკეთებ,“ - აღნიშნა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას მისაბიშვილმა.

მისივე განცხადებით, ის „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანებას არ აპირებს, თუმცა მის მხარდამჭერად დარჩება.

„მე ვარ ცენტრისტი, როგორც მაჟორიტარი დეპუტატი, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელისუფლების მხარდამჭერი ვარ ამ კანდიდატურასთან დაკავშირებით,“ - დასძინა მან.

ინციდენტის განმუხტვა მარგველაშვილის შტაბის ხელმძღვანელ დავით საგანელიძის ჩარევის შემდეგ მოხერხდა.

სანაპიროზე ავარიის შედეგად 5 ავტომანქანა დაიმტვრა

თბილისში, სანაპიროზე, მაღალი სიჩქარით მიმავალი „მერსედესის“ მარკის მანქანა „გალფის“ ბენზინგასამართ სადგურთან მდებარე ავტოსადგომში მდგარ 3 მანქანას და ერთ მოძრავ ავტომობილს დაეჯახა. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მძღოლს საჭესთან ჩაეძინა. შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო, სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანები.

ავარიის შედეგად დაშავდა მოძრავი „მერსედესის“ მარკის ავტომობილის მძღოლი, რომელსაც პირველადი დახმარება ადგილზე აღმოუჩინეს, შემდეგ კი რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

თამარ მეფის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვები ჩამოიშალა

თამარ მეფის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ქვები ჩამოიშლა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საგანგებო სიტუაციების სამსახურში განუცხადეს. მათი ინფორმაციით, ქვების ჩამოშლის შედეგად არავინ დაშავებულა. სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა გზა გაასუფთავეს.

ჩხუბი სასამართლოს ეზოში

13 აგვისტოს სასამართლო პროცესი აქციის ფონზე მიმდინარეობდა. დილიდან თბილისის საქალაქო სასამართლოსთან არასამთავრობო ორგანიზაციის «პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულ პირებთან ერთად მივიდა. აქციის მონაწილეები ბაჩო ახალაიას გამამართლებელ განაჩენს აპროტესტებდნენ. **„ბაჩო ახალაია შენი ადგილი სანაგვეზეა“; „ცოცხები, ცოცხები, ცოცხები ჩქარა“; „რეჟიმი უნდა გასამართლდეს“** - ამ ლოზუნგებით მივიდნენ საქალაქო სასამართლოსთან აქციის მონაწილეები. აქციას ინციდენტების გარეშე არ ჩაუვლია. საბოლოოდ, პოლიციის თანამშრომლებმა, აქციის რამდენიმე მონაწილესთან ერთად, პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები გიორგი გაბედავა და ფრიდონ მერაბიშვილი დააკავეს.

აქციაზე პირველი ინცინდენტი ჯერ კიდევ პროცესის დაწყებამდე მოხდა. აქციის მონაწილეებს სასამართლოს ეზოში პროტესტის გამოხატვაში სასამართლოს მანდატურებმა შეუშალეს ხელი. მათ შეკრებილებს მოსთხოვეს, პროტესტი სასამართლოს ეზოს გარეთ გამოეხატათ და სასამართლოს ტერიტორიას ოცი მეტრით დაშორებოდნენ. მანდატურების განმარტებით, ეს კანონით არის გათვალსინწინებული. მოწოდების მიუხედავად, აქციის მონაწილეები სასამართლოს ეზოს რამდენიმე საათის განმავლობაში არ ტოვებდნენ.

სიტყვიერი შელაპარაკება მოუვიდათ აქციის მონაწილეებსა და ბაჩო ახალაიას მხარდასაჭერად მისულ ორგანიზაცია „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენლებს, რის შედეგადაც პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული ფრიდონ მერებაშვილი დააკავეს. ფრიდონ მერებაშვილმა „თავისუფალი ზონის“ მხარდამჭერს შეაგინა, რასაც გაწევ-გამოწევა მოჰყვა. ასევე სიტყვიერი შეხლა-შემოხლა იყო „თავისუფალი ზონის“ წარმომადგენელ ირაკლი ჩხვირკიას და სასამართლოს მანდატურებს შორის, თუმცა პოლიციელების ჩარევით ეს ინციდენტი მალევე განიმუხტა.

გარდა ამისა, სასამართლოს ეზოში ნანა კაკაბაძე და დათა ახალაიას ადვოკატი ირაკლი ზაქარეიშვილიც შელაპარაკდნენ.

ბაჩო ახალაიას ადვოკატ გიორგი ონიანის თქმით, საქალაქო სასამართლოსთან აქცია პროკურატურის ორგანიზებიული იყო. ონიანის განმარტებით, ეს სასამართლოზე ზეწოლისთვის მიმართული პროვოკაციაა.

„სამწუხაროა, რომ ამ ადამიანთაგან არც ერთი არ დაინტერესებულა თავად პროცესით. აქციის მონაწილეთაგან არც ერთს არ უცდია, თავად დასწრებოდა პროცესს და მოესმინა, თუ რა მტკიცებულებები აქვს ან დაცვის მხარეს, ან ბრალდების მხარეს. აქედან გამომდინარე, ეს არის პროვოკაცია, რომელიც ორგანიზებულია პროკურატურის მხრიდან,“ - განაცხადა გიორგი ონიანმა.

სასამართლოს შენობაში კი ახალაიას შს მინისტრობის ეპიზოდს განიხილავდნენ.

დაცვის მხარის ადვოკატებმა და ბრალდებულებმა დასკვნითი სიტყვები წარმოთქვეს. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად რამოდენიმე პირს, ახალაიას შს მინისტრობის პერიოდში იაღლუჯას საწვრთნელ ბაზაზე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო შვიდი სპეცრაზმელის წამების ორგანიზება ედებათ ბრალად.

შს და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია დარწმუნებულია, რომ სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს. როგორც ახალაია ამბობს, პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები რეალური რომ ყოფილიყო, ბრალს თავად აღიარებდა.

„ეს რომ რეალური ყოფილიყო, ბრალს ვაღიარებდი და სხვებსაც არ გავხვევდი ამ საქმეში. არანაირი წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ქმედების ორგანიზებას ჩემი მხრიდან ადგილი არ ჰქონია. საქმე ეხება ჩვეულებრივ სამუშაო ვითარებას, საწვრთნელ პროგრამას. რეინჯერების კურსის სამუშაო ვითარება ვიდეოფირზეც არის ასახული,“ - განაცხადა ახალაიამ სასამართლო პროცესზე დასკვნითი სიტყვის წარმოთქმისას.

მისივე თქმით, საქმეში სხვა ბრალდებულები დღეს საბრალდებო სკამზე იმიტომ სხედან, რომ მათ ბაჩო ახალაიასთან ჰქონდათ საქმე.

„დარწმუნებული ვარ, სასამართლო გამამართლებელ განაჩენს გამოიტანს,“ - აღნიშნა ახალაიამ.

მისი თქმით, «შვიდი სპეცრაზმელის წამების“ საქმია სცენარი მის წინააღმდეგ პროკურატურაში მოიფიქრეს. ახალაია აღნიშნავს, რომ ის, რაც შსს-ში ხდებოდა და რის შესახებაც საქმეა აღძრული, ჩვეულებრივი სამუშაო პროცესი იყო.

„ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ის პირები, ვინც ამ საქმეში დაზარალებულად არიან ცნობილი, არიან ადამიანები, რომლებიც არც ახლანდელ ხელმძღვანელობას გამოადგება რამეში. როგორც კი სასამართლო დამთავრდება, მათ საერთოდ არ ექნებათ არანაირი ფუნქცია. ჩემთან ერთად ბრალდებული პირები კი ყველაზე წარმატებული სამხედროები არიან საქართველოში და ისინი საბრალდებო სკამზე მხოლოდ ჩემ გამო სხედან,“ - განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

ყოფილი შს მინისტრის განმარტებით, მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდება უსაფუძვლოა და «წამების ორგანიზება“ რეალურად რეინჯერის კურსის ნაწილია.

ბრალდებულების გარდა, პროცესზე დასკვნითი სიტყვა დაცვის მხარემაც წარმოთქვა. ადვოკატების დასკვნით სიტყვას პროკურორრ შაქრო ზაალიშვილის რეპლიკა მოჰყვა. ზაალიშვილის თქმით, დაცვის მხარე საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ცდილობს. პროკურორმა სასამართლოს მოუწოდა, არ გახდეს „უკანონობის თანაზიარი“.

შაქრო ზაალიშვილის განცხადებით, „ცოცხებზე გასმა, დამცირება და არაადამიანური მოპყრობა“ დანაშაულია, რომელიც სპეცრაზმელების წინააღმდეგ ბაჩო ახალაიას ორგანიზებით შსს-ს ყოფილმა თანამშრომლებმა ჩაიდინეს.

„რეინჯერის კურსი თავიდანვე მოგონილი იყო დანაშაულის დამალვის მიზნით,“ - განაცხადა შაქრო ზაალიშვილმა და მოსამართლეს მოუწოდა, რომ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანოს.

ბაჩო ახალაიას და მასთან ერთად ბრალდებულების სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს ეზოში მომხდარი ინციდენტის გამო გიორგი გაბედავა დააკავეს.

ახალაიას პროცესზე დამსწრეები სასამართლოს ეზოში გამოვიდნენ, ეზოში შეკრებილებმა კი ისინი სასტვენების ხმით გააცილეს, რასაც ახალაიას მხარდამჭერებსა და მოწინააღმდეგეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოჰყვა. მოხდა მცირე ფიზიკური დაპირისპირებაც, რის შედეგადაც, ნანა კაკაბაძესთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად, სასამართლოს ეზოში მისული გიორგი გაბედავა პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს.

პოლიციის ავტომობილში ჩასმამდე გიორგი გაბედავამ განაცხადა, რომ მას ახალაიას ერთ-ერთმა ადვოკატმა გიორგი ონიანმა დაარტყა, თუმცა პოლიციელებმა ონიანის ნაცვლად იგი დააკავეს. დღის ბოლოს 100-ლარიანი ჯარიმის საფუძველზე გათავისუფლდა ფრიდონ მერაბიშვილი. გაათავისუფლებს თუ არა 100 ლარად სასამართლო გიორგი გაბედავასაც, ჯერჯერობით უცნობია.

დღის ბოლოს, აქციაზე დაკავებული სამივე პირი გაათავისუფლეს, თუმცა სასამართლოში გამოცხადება კვლავ მოუწევთ - მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, რა სახის ადმინისტრაციული სასჯელი დაეკისრებათ მათ. სამივე მათგანს ბრალად ხულიგნობა ედება.

შეგახსენებთ, რომ 13 აგვისტოს საქალაქო სასამართლომ ბაჩო ახალაიას შს მინისტრობის პერიოდთან დაკავშირებული საქმის განხილვა დაასრულა. ყოფილ შს მინისტრს პროკურატურა 2012 წლის აგვისტოში მომხდარ ფაქტს ედავება. ბრალდების მხარის მტკიცებით, პოლიტიკური შეხედულებების გამო ბაჩო ახალაიას ორგანიზებით შვიდი ადამიანი აწამეს, დაამცირეს, არაადამიანურად მოეპყრნენ და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. აღნიშნულ საქმეზე, ბაჩო ახალაიასთან ერთად, ბრალდებულნი არიან ალექსი დავითაშვილი, მამუკა აბაშიძე, დავით ვეკუა, ვლადიმერ ზანგიევი, რობერტ სუთიძე და დავით გიორგაშვილი.

ახალაიას ადვოკატების თქმით, ბრალდების მხარეს უსუსური არგუმენტები აქვს. **„პროკურორმა ყველაზე უსუსური და სუსტი დასკვნითი სიტყვა წარმოადგინა, რომელიც არ იყო არგუმენტირებული. მარტო ბრალის ფორმულირება და მოწმეების გვარები მეორდებოდა ათჯერ. პროკურორმა დასკვნით სიტყვაში ისეთი მტკიცებულებები მოიყვანა, რომლებიც სასამართლოზე არ გამოქვეყნებულა. მან ასევე დაამახინჯა მოწმეთა ჩვენებები,“** - ამბობს ბაჩო ახალაიას ადვოკატი მალხაზ ველიჯანაშვილი.

ყოფილ შს და თავდაცვის მინისტრ ბაჩანა ახალაიას ბრალი წაყენებული ჰქონდა როგორც შინაგან საქმეთა, ასევე თავდაცვის მინისტრობის პერიოდზე. პირველ აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ ახალაია გაამართლა და უდანაშაულოდ ცნო ყველა იმ ბრალდებაში, რომელიც მისი თავდაცვის მინისტრობის პერიოდს ეხებოდა.

ბაჩო ახალაია საპატიმროში შს მინისტრობის პერიოდის ეპიზოდზე წაყენებული ბრალდებების - «შვიდი სპეცრაზმელის წამების“ და «ციხის ბუნტის“ საქმეების გამო რჩება. თბილისის საქალაქო სასამართლო «შვიდი სპეცრაზმელის წამების საქმეზე“ განაჩენს რამდენიმე დღეში გამოიტანს.

იმერლიშვილი „დემოკრატიული მოძრაობის„ განცხადებებს უარყოფს

გუშინ საინფორმაციო სააგენტოები „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბიდან ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიულ მოძრაობაში“ აქტივისტების გადასვლის შესახებ იუწყებოდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, „ქართული ოცნების“ ლანჩხუთის საარჩევნო შტაბიდან 60-მდე ადამიანი „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ რაიონულ ორგანიზაციაში გადავიდა.

„დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ ლანჩხუთის რაიონის საარჩევნო შტაბის წევრმა ნონა მურვანიძემ „ინტერპრესნიუსთან“ აქტივისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიზეზებზე ისაუბრა. **„ხალხი ადგილებზე ხედავს, რომ ბიძინა ივანიშვილმა ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა ვერ მოახერხა. ადგილებზე რაიონებში უფრო მკვეთად და მკაფიოდ ჩანს, „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ წევრებს შორის კოჰაბიტაცია როგორ შედგა,“** - აღნიშნავს მურვანიძე. მისი თქმით, 1 ოქტომბრამდე ქვეყანაში იდგა არჩევანი, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხებულიყო და სწორედ ამიტომ „დემოკრატიულმა მოძრაობამ“ არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო. **„საპარლამენტო არჩევნებში მთელი ჩვენი პარტია, ნინო ბურჯანაძის მითითებით, ჩვენს რაიონში მთლიანად „ქართულ ოცნებას“ ვეხმარებოდით, რათა „ნაციონალური მოძრაობა“ დაგვემარცხებინა. ამჟამად „ქართული ოცნების“ წევრები შოკირებულები არიან პარტიის უნიათო ქმედებით, რამაც გამოიწვია მათი გადმოსვლა ნინო ბურჯანაძის პარტიაში,“** - ამბობს მურვანიძე.

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ კახეთის რეგიონის კოორდინატორი ვალერი შოშიაშვილიც ასევე დაპირებების შეუსრულებლობაში ადანაშაულებს „ქართულ ოცნებას“ და ამბობს, რომ კახეთის რვა რაიონის „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი 250-ზე მეტმა აქტიურმა თანამშრომელმა დატოვა და ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში გადავიდა. **„მიუხედავად იმისა, რომ პირველი ოქტომბრის არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დასრულდა, წინასაარჩევნო დაპირება 10 თვის განმავლობაში არ შესრულებულა. გარდა ამისა, შტაბის დატოვების მიზეზად ისინი სამართლიანობის აღდგენის დაპირების შეუსრულებლობასაც ასახელებენ,“** - აღნიშნა შოშიაშვილმა.

„დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს“ რეგიონული სამსახურის უფროს ზაზა სოფრომაძის ინფორმაციით, ნინო ბურჯანაძის საარჩევნო შტაბში აქტივისტები არა მარტო „ქართული ოცნებიდან“, არამედ სხვა პარტიებიდანაც გადადიან. **„პარტიაში გაწევრიანების სურვილი ბევრმა ადამიანმა გამოთქვა, მათ შორის არიან, როგორც „ქართული ოცნების“, ასევე სხვა პარტიების წარმომადგენლები. მინდა, ყველა დავარწმუნო, რომ სხვა პარტიიდან ჩვენს პარტიაში ხალხის გადმობირება „დემოკრატიული მოძრაობის“ მეთოდი არ არის, მაგრამ ეს ბოლოდროინდელი ქართული პოლიტიკური ცხოვრების აუცილებლობის შემადგენელი ნაწილია,“** - თქვა სოფრომაძემ. როგორც მან აღნიშნა, პირველი ოქტომბრის საპარლამენტო აჩევნების დროს „დემოკრატიული მოძრაობიდან“ და „სახალხო კრებიდან“ ხალხი იმის გამო გადავიდა, რომ პარტია არჩევნებში არ მონაწილეობდა.

„24 საათი“ «ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტსაბჭოს მდივან ირინა იმერლიშვილს ესაუბრა. როგორც იმერლიშვილი ამბობს, ინფორმაციის გადამოწმების შედეგად ლანჩხუთის რაიონული ორგანიზაციიდან მხოლოდ 2 წევრის წასვლა დადასტურდა. **„მათი გადაწყვეტილების მიზეზი ჩემთვის უცნობია. პარტიიდან წევრები ხან მიდიან, ხან მოდიან,“** - აღნიშნავს იმერლიშვილი.

რაც შეეხება კახეთს, იმერლიშვილის თქმით, კახეთის რაიონული ორგანიზაციებიდან არც ერთი წევრის ართუ გადასვლა, არამედ პარტიიდან გასვლაც არ დასტურდება.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

მერია თბილისის ბიუჯეტის გაზრდას ითხოვს

პირველი გვერდიდან

„მნიშვნელოვანი ცვლილებები გვაქვს დაგეგმილი ქალაქის სახელოვნებო სკოლების რეაბილიტაციისა და აღჭურვის მიმართულებით. ამისთვის საჭიროა 5 მილიონი ლარი, რომელიც თბილისის სახელოვნებო სკოლების მთლიანად გარემონტებას და ახალი ინსტრუმენტებით აღჭურვას მოხმარდება. 2 მილიონი ლარი დაემატება თბილისს შემოერთებული სოფლების წყალმომარაგებით უზრუნველყოფას. ეს ჯერ კიდევ პრობლემაა, ვინაიდან ის სოფლები, რომლებიც თბილისის ნაწილს წარმოადგენენ, ვერ სარგებლობენ ყველა სიკეთით, რითიც თბილისის სხვა ყველა მოსახლე სარგებლობს. პროექტის მიხედვით, დაახლოებით, 6 ათას ოჯახს სასმელი წყლის პრობლემა აღარ ექნება,“ - ამბობს გიგი უგულავა. ასევე, თბილისის მერია მზად არის, დევნილთა სამინისტროსთან ერთად, თანადაფინანსებით უზრუნველყოს კომპაქტურად ჩასახლებული, დაახლოებით, 2 ათასი დევნილი აბონენტის საცხოვრებლებში გაზის მრიცხველების დამონტაჟება. უგულავამ მზადყოფნა გამოთქვა, საკრებულოს ყველა ფრაქციასთან ითანამშრომლოს და თითოეული საკითხი მათთან ერთად დეტალურად გაიაროს. მისი თქმით, ქალაქში დაგეგმილმა ყველა სიახლემ თბილისელებს ვითარება უნდა შეუმსუბუქოს.

აღსანიშნავია, რომ საკრებულოს უმრავლესობა ცვლილებების პროექტს მხარს დაუჭერს საბავშვო ბაღებისთვის დაფინანსების გაზრდის ნაწილში, თუმცა სხვა პრიორიტეტული მიმართულებების შესახებ დედაქალაქის საკრებულოს უმრავლესობას აქვს კითხვები. მაგალითად, თბილისს შემოერთებული სოფლების წყალმომარაგების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილის თქმით, წყალმომარაგების უზრუნველსაყოფად ფული გაცემულია, მაგრამ ზუსტად სად დაიხარჯა ფინანსები, გაურკვეველია.

„საბიუჯეტო ცვლილებების დამტკიცება მუშა პროცესია და საკრებულო მხოლოდ მას შემდეგ დაუჭერს აღნიშნული პროექტების განხორციელებას მხარს, როდესაც კითხვის ნიშნები აღარ გვექნება,“ - ამბობს შიხიაშვილი.

დედაქალაქის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებს საკრებულოს უმცირესობაც დაუჭერს მხარს. როგორც საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე თამაზ შოშიაშვილმა განაცხადა, ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს ცენტრალური მთავრობის და ქალაქის მუნიციპალიტეტის პრეროგატივები. ორივე მათგანმა კი დაფინანსება საკუთარ კომპეტენციაში შემავალი პრობლემების მოსაგვარებლად უნდა გამოყოს.

„არქეოლოგიური გათხრების დაფინანსების მოთხოვნის ნაცვლად, რაც კულტურის სამინისტროს პრეროგატივაა, სჯობს, თბილისმა თავის პრობლემებს მიხედოს. იმ ადამიანებს, რომლებიც თბილისს შემოერთებულ ტერიტორიებზე ცხოვრობენ, წყალმომარაგების პრობლემა უნდა მოეხსნათ. ის ავტობუსები, რომლებიც დღეს დადის დედაქალაქში, ახლით უნდა შეიცვალოს. სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საშუალება უნდა ჰქონდეს, ახალი მანქანები შეიძინოს. მათ, ასევე საჭიროა, დაფინანსება და ხელფასები გაეზარდოთ. მოგეხსენებათ, შრომის კოდექსის ცვლილების გამო ჩვენ ამ სამსახურებს დაფინანსებებს ვუზრდით,“ - ამბობს შოშიაშვილი. მისივე შეფასებით, წარმოდგენილი ცვლილებები თბილესელებისთვის არის საჭირო. ამასთან, მერიის მხრიდან მოქალაქეებისთვის გადადგმული თითოეული სასიკეთო ნაბიჯი თბილისის სამსახურების უკეთესად ფუნქციონირებას შეუწყობს ხელს.

„შესაბამისად, უმცირესობა ცვლილებების ამ პროექტს მხარს დაუჭერს. იმ საკითხების მოგვარება, რომლებიც ცენტრალური მთავრობის პრეროგატივაა, ცენტრალურ მთავრობას უნდა მოვთხოვოთ. ქალაქის მუნიციპალიტეტმა კი თავისი საქმე აკეთოს,“ - აცხადებს თამაზ შოშიაშვილი.

გიგი უგულავას მიერ ბიუჯეტის 17 მილიონით გაზრდას პოპულისტურს უწოდებს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯაბა სამუშია.

მისი თქმით, საბავშვო ბაღებისთვის ბიუჯეტის გამოყოფას და მათი პრობლემების მოგვარებას თბილისის საკრებულო დედაქალაქის მერიის ინიციატივის გარეშეც შეძლებს.

„მინდა, აღვნიშნო, რომ ყველა ეს მუხლი უკვე ფინანსდება თბილისის ბიუჯეტიდან. ბუნებრივია, გვაინტერესებს, სად წავიდა ის მილიონები, რაც გამოყოფილი იყო. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ არც ერთი ბავშვი არ დარჩება საბავშვო ბაღის გარეშე და ამ პროექტისთვის ქალაქის ბიუჯეტში თანხების მობილიზაციას მოვახდენთ. ამას არ სჭირდება მერის ინიციატივა. ამაზე თბილისის საკრებულოში ახალი უმრავლესობის შექმნის პირველივე დღიდან ვმუშაობთ,“ - ამბობს სამუშია. მან ჟურნალისტებს დედაქალაქის ორი რაიონის ბიუჯეტი წარუდგინა, სადაც წყალმომარაგების სისტემის მშენებლობისთვის გლდანის რაიონში გამოყოფილი იყო 3 მილიონი, სამგორში კი - 2 მილიონი ლარი. მისივე განცხადებით, მუნიციპალური ტრანსპორტისთვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 40 მილიონი ლარი უნდა დახარჯულიყო, თუმცა აღნიშნული თანხა ამ პრობლემების მოგვარებისთვის არ დახარჯულა.

ჯაბა სამუშია თბილისის მერისგან პასუხის გაცემას ითხოვს, თუ სად და როგორ დაიხარჯა თბილისის რაიონებისთვის განკუთვნილი მილიონობით ლარი.

მისი შეფასებით, ფული, რომელიც მსგავსი პროექტების განსახორციელებლად ადრე უკვე გამოიყო, „ნაციონალური მოძრაობის“ დაფინანსებაზე წავიდა.

1 ოქტომბრის შემდეგ ყველაზე მეტი თანამშრომელი მსს-დან გაათავისუფლეს

საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო» საკადრო ცვლილებების შესახებ ანალიზს აქვეყნებს

პირველი გვერდიდან

იმ საჯარო უწყებებიდან, რომლებმაც საშტატო ნუსხები მოგვაწოდეს, საერთო ჯამში, თანამშრომელთა 11 პროცენტი გაათავისუფლეს;

ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებიდან სულ 3769 მოსამსახურე გათავისუფლდა. მათგან ერთ მესამედზე მეტმა, 1314 თანამშრომელმა, საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა;

ცენტრალური ხელისუფლების დაწესებულებებს შორის ყველაზე მეტი გათავისუფლდა საჯარო მოსამსახურე შემდეგი სამინისტროებიდან: შინაგან საქმეთა (897), ჯანდაცვის (883), თავდაცვის (690), იუსტიციის (567) და ფინანსთა (278) სამინისტროები. ამ რაოდენობებში შედის სამინისტროების დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებიც (სსიპ-ები);

ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებიდან სულ 1769 მოსამსახურე გათავისუფლდა, აქედან ნახევარზე მეტი - 1022 საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ადგილობრივი ხელისუფლების დაწესებულებებიდან ყველაზე მეტი კახეთის (585), იმერეთის (290), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის (241) მუნიციპალიტეტებიდან გაათავისუფლეს.

საკადრო პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები:

გათავისუფლებების ტალღა არჩევნების შემდეგ დაიწყო და გადაწყვეტილებები ცალკეულ შემთხვევაში პოლიტიკურად მოტივირებულის შთაბეჭდილებას ტოვებდა;

გათავისუფლება საშუალო და დაბალი რანგის მოხელეებსაც შეეხოთ, რომელიც დემოკრატიულ ქვეყნებში საჯარო სამსახურის ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს და, როგორც წესი, პოლიტიკური კონიუნქტურის ცვლილებასთან ერთად არ მერყეობს;

ზოგიერთ შემთხვევაში სამსახურიდან გათავისუფლება იურიდიული საფუძვლის გარეშე ხდებოდა. იმ პირთა ბრძანებები, რომლებმაც საკუთარი ნებით არ დატოვეს სამუშაო ადგილები, ხშირად კანონდარღვევით იყო შედგენილი;

უწყებების დიდ უმრავლესობაში ატესტაცია და კონკურსი არ ჩატარებულა, ხოლო იქ, სადაც ჩატარდა, ძირითადად, არაეფექტურად იყო ორგანიზებული;

გათავისუფლებულ საჯარო მოხელეთა დიდმა ნაწილმა საკუთარი განცხადებით დატოვა დაკავებული თანამდებობები. ზოგჯერ ისინი ახალი ხელმძღვანელების მხრიდან ზეწოლაზე საუბრობდნენ;

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ყოფილი საჯარო მოხელე ზეწოლაზე საუბრობდა, ჩვენთვის უცნობია, დადგა თუ არა ზეწოლის განმახორციელებელ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი;

გურჯაანისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლები ცალსახად უკანონოდ დაინიშნენ თანამდებობებზე, თუმცა, მიუხედავად ამისა, მათი გათავისუფლების საკითხი არ დამდგარა და ისინი კვლავაც აგრძელებენ უფლებამოსილების შესრულებას;

მიუხედავად იმისა, რომ მოხელეების ნაწილს საშუალება ჰქონდა, ჩვენს ვებგვერდზე არსებული აპლიკაცია შევსო, სადაც შეეძლო, თავისი უფლებების დარღვევის შესახებ განეცხადებინა, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ადამიანმა მოგვმართა;

ზოგიერთი საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მიღება ძალიან რთული იყო, მაგალითად, შსს-მ ჩვენ მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია 5 თვის დაგვიანებით მოგვაწოდა, რასაც წინ უძღოდა არაერთი შეხსენება და ოფიციალური საჩივარი.

«საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო» ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელებს მოუწოდებს, არ დაუშვან პოლიტიკური ან სხვა დისკრიმინაციული ნიშნით საკადრო ცვლილებები საჯარო სამსახურში:

საჯარო მოხელის დანიშვნისა თუ გათავისუფლების კრიტერიუმი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი კვალიფიკაციის შესაბამისობა დაკავებულ თუ დასაკავებელ თანამდებობასთან;

რეკომენდებულია, რომ ნებისმიერი საკადრო ცვლილება მხოლოდ კონკურსისა და ატესტაციის გზით განხორციელდეს, ხოლო მიღებული გადაწყვეტილებები მაქსიმალურად იყოს დასაბუთებული;

საკონკურსო-საატესტაციო კომისიები დაკომპლექტდეს პირებით, რომლებსაც აქვთ საკმარისი კომპეტენცია კონკურსანტებისა და ატესტაციის გამვლელი მოხელეების კვალიფიკაციის შეფასებისთვის.“

სამართალდამცველებმა დაკარგული თეონა ჩარგაზია იპოვეს

ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა, რამდენიმედღიანი ძებნის შედეგად, ზუგდიდში მცხოვრები, 24 წლის თეონა ჩარგაზია იპოვეს. შსს-ს ინფორმაციით, გოგონა 28 ივლისს დასთან ერთად ლილოს ბაზრობის ტერიტორიაზე იმყოფებოდა, საიდანაც მოულოდნელად გაუჩინარდა. ოჯახის წევრებმა სამართალდამცველებს დახმარებისათვის მაშინვე მიმართეს.

ჩატარებული სამძებრო-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თეონა ჩარგაზია დიდი ლილოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სოფელ ნასაგურში იპოვეს.

ამჟამად მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. სამართალდამცველებმა გოგონა ოჯახის წევრებს ჩააბარეს.

არასრულწლოვანთა დაწესებულების თანამშრომელი „მარიხუანას“ მოხმარების გამო დაითხოვეს

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის მიერ მიღებული დასკვნის საფუძველზე, სასჯელაღსრულების N11 არასრულწლოვანთა სპეციალური დაწესებულების კადრების ინსპექტორი ზურაბ ფორჩხიძე სამსახურიდან დაითხოვეს.

ამის შესახებ ნათქვამია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს განცხადებაში.

უწყების ინფორმაციით, ზურაბ ფორჩხიძე სამართალდამცავებმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად დააკავეს და ნარკოლოგიური შემოწმება ჩაუტარეს.

შემოწმებისას დადგინდა, რომ მას მიღებული ჰქონდა ნარკოტიკული საშუალება - ტეტრაჰიდროკანაბინოლი (მარიხუანა).

ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ფაქტი ზურაბ ფორჩხიძემ სამართალდამცავებისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაშიც დაადასტურა.

აღნიშნულ ფაქტზე წარმოებული სამსახურებრივი შემოწმების შემდეგ, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ ფორჩხიძის სამსახურიდან დათხოვნის გადაწყვეტილება მიიღო.

სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის I პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა, კერძოდ, დაწესებულების დისკრედიტაციისკენ მიმართული უღირსი საქციელი, ასევე „საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სისტემის ორგანოების მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის უგულებელყოფა.

ონკოლოგიური ცენტრი სახელმწიფო მართვაში გადავა

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს განცხადებით, საავადმყოფოების და სამედიცინო დაწესებულებების მუნიციპალურ მართვაში მასობრივად გადასვლა არ იგეგმება. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას დავით სერგეენკომ განაცხადა, სახელმწიფოს მართვაში გადავა ნაციონალური ონკოლოგიური ცენტრი და კომპანია „ადითის“ მართვის ქვეშ მყოფი კლინიკები.

მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ დროისთვის ჯანდაცვის სამინისტრო ანუ სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებების გადმოცემის პროცესს აწარმოებს.

«სხვა სამედიცინო დაწესებულებების მუნიციპალურ მართვაში გადაცემა მასობრივად არ მოხდება,» - აღნიშნა სერგეენკომ.

ჭიათურის მაღაროში დაღუპული ორი ადამიანის ვინაობა ცნობილია

ჭიათურის მაღაროში დაღუპული ორი ადამიანის ვინაობა ცნობილია. არსებობს ეჭვი, რომ შესაძლოა, კიდევ ერთი მაღაროელი იყოს დაღუპული. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მეტალურგიული სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარემ თამაზ დოლაბერიძემ განუცხადა.

მისივე თქმით, მაღაროს გაბურღვა მიმდინარეობდა, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ გრუნტში დიდი ოდენობით წყალი იყო დაგროვებული, რამაც ორი მაღაროელი - როლანდ ნოზაძე და იუზა სამხარაძე იმსხვერპლა.

„ადგილზე სამაშველო სამსახურის წარმომადგენლები მუშაობენ და შესაძლოა, მესამე მსხვერპლიც იყოს,“ - განაცხადა დოლაბერიძემ

აღნიშნულ ფაქტზე კომენტარი გააკეთა კომპანია „ჭიათურ-მანგანეზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მაკა კვარაცხელიამ.

მისი ინფორმაციით, „ჭიათურ-მანგანეზის“ მაღაროში წყალი შევიდა.

„მომხდარს შეიძლება, სტიქიური უბედურება დაერქვას. წყლის შესვლა შესაძლოა, იმან გამოიწვია, რომ დიდი ხნის განმავლობაში წვიმები იყო და წყალი ნიადაგში დაგროვდა. ადგილზე სამართალდამცავები უკვე მუშაობენ,“ - განაცხადა

მალიმ პრეზიდენტი აირჩია

კვირას მალის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური ჩატარდა. მასში ის ორი კანდიდატი მონაწილეობდა, რომლებმაც, დაახლოებით, 10 დღის წინ პირველ ტურში სხვებზე მეტი ხმები დააგროვეს. საარჩევნო კომისიის მიერ ჯერ კიდევ ოფიციალური შედეგების გამოცხადებამდე სუმაილ სისემ დამარცხება აღიარა და გამარჯვება მიულოცა კონკურენტს, მალის პოლიტიკის ვეტერანსა და ექს ბპრემიერ-მინისტრს, 68 წლის იბრაგიმ ბუბაქარ კეიტას. ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, ხმების ორი მესამედის დათვლის შემდეგ უკვე ნთელი გახდა, რომ კეიტა სისეს დიდი უპირატესობით უსწრებდა. ორშაბათს სისე კეიტას შეხვდა, გამარჯვება პირადად მიულოცა და წარმატებები უსურვა. უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი შეშფოთების მიუხედავად, მალიში არჩევნების ორივე ტურმა სერიოზული ინციდენტების და პრობლემების გარეშე ჩაიარა.

კეიტა თავიდანვე მიიჩნეოდა გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად, მან საკმაო პოპულარობა მოიპოვა ხალხში 1994-2000 წლებში, პრემიერ-მინისტრობის დროს. მას მიმდინარე არჩევნებში მხარს უჭერდა 15 პარტიისგან შემდგარი კოლიცია, ასევე მალის გავლენიანი მუსლიმანი ლიდერები. მან პირველი ტურიც მოიგო.

იბრაგიმ ბუბაქარ კეიტას საქმიანი და მტკიცე ადამინის რეპუტაცია აქვს. ეს ნამდვილად საჭიროა მალის ხელმძღვანელისთვის, რადგან ქვეყანა ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ბოლო წლებში ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამბოხებულებისგან ცენტრალური ხელისუფლებისა და სამხრეთ რაიონების დაცვას უცხოეთის სასწრაფო სამხედრო დახმარება დასჭირდა. ახალმა პრეზიდენტმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა იზრუნოს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე (ამაში ქვეყნის ახალ ხელისუფლებას ალბათ სერიოზულად დაეხმარებიან, წინააღმდეგ შემთხვევაში, რეგიონს მალის სისუსტე უფრო ძვირი დაუჯდება), არმიის სრულ გადაიარაღებასა და ქვეყანაში უმუშევრობის შემცირებაზე - პირველ რიგში, ახალგაზრდებს შორის.

ნიგერიაში მეჩეთში 50-მდე ადამიანი მოკლეს

ნიგერიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ქალაქ კონდუგაში დილის ლოცვისას მეჩეთს თავს დაესხნენ შეიარაღებული ადამიანიები და, სხვადასხვა მონაცემებით, 44-დან 51-მდე მლოცველი დახოცეს. არიან დაჭრილებიც - 26 კაცი, რომლებიც ქალაქ მაიდუგურის საავადმყოფოში გადაიყვანეს. ეს მოხდა ჯერ კიდევ კვირა დილით, მაგრამ იმ რაიონებში კომუნიკაციის პრობლემების გამო ინფორმაცია ქვეყნის ცენტრამდე და მსოფლიომდე გვიან აღწევს. იმავე კვირა დილას სოფელ ნგომში, იმავე შტატ ბორნოში, 12 ადამიანი დახვრიტეს. თავდასხმაზე ჯერ არავის აუღია პასუხისმგებლობა, მაგრამ ეს ის ზონაა, სადაც ფანატიკოსი ისლამისტები დათარეშობენ დაჯგუფება „ბოკო ჰარამიდან“. მათ 2009 წლის შემდეგ ათასობით ადამიანი დახოცეს. უმთავრესად თავს ესხმიან ქრისტიანულ ეკლესიებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, თუმცა ხანდახან მეჩეთებსაც. „ბოკო ჰარამი“ ადგილობრივ ენაზე ნიშნავს „დასავლური განათლება - ცოდვაა“. დაჯგუფგების მიზანია, ნიგერიის ჩრდილოეთ ნაწილში მაინც მიაღწიონ ისლამური სახელმწიფოს შექმნას. მაისში ნიგერიის პრეზიდენტმა გუდლაკ ჯონათანმა ჩრდილოაღმოსავლეთის სამ შტატში ბორნოში, ადამავასა და იობეში საგანგებო მდგომარეობა შემოიღო „ბოკო ჰარამის“ წინააღმდეგ დაწყებული მასშტაბური ოპერაციის გამო. შტატ ბორნოშია ისლამისტების მთავარი სამეთაურო ცენტრიც.

ორშაბათს „ბოკო ჰარამმა“ ვიდეომიმართვა გაავრცელა, რომელშიც დაჯგუფების მეთაური აბუბაქარ შეკაუ თავის თავზე იღებს ბოლო პერიოდის რამდენიმე თავდასხმას (ის ალბათ კვირამდეა ჩაწერილი), მათ შორის პოლიციელების და სამხედროების მკვლელობებს. მაგალითად, ივლისის დასაწყისში იობეს შტატის ქალაქ მამუდოში საშუალო სკოლა-ინტერნატზე თავდასხმისას ფანატიკოსმა ისლამისტებმა 45 ბავშვი და მასწავლებელი დახოცეს. ზოგი მოწაფე ცოცხლად დაწვეს. ორგანიზაციის მეთაურის აბუბაქარ შეკაუს ხელში ჩაგდებისთვის აშშ-ს დაწესებული აქვს ჯილდო 7 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.

პერუში მაოისტი ამბოხებულების ლიდერები გაანადგურეს

პერუს ხელისუფლებამ დარწმუნებით განაცხადა, რომ მათ მოახერხეს ამბოხებულთა მაოისტური დაჯგუფების „კაშკაშა გზის“ ოთხი ლიდერიდან ორის ლიკვიდაცია. მარკო ანტონიო კისპე პალომინო და ალეხანდრო ბორდა კასაფრანკა მას შემდეგ დაიღუპნენ, რაც არმიის ჯარისკაცებმა ჯუნგლებში აღმოაჩინეს და მათ შენიღბულ ქოხში ხელყუმბარები ჩაყარეს. დაღუპულების ცხედრები დედაქალაქ ლიმაში გადაასვენეს, დნმ-ის ანალიზი ჩაუტარეს და მათი ვინაობა დაადასტურეს. პერუს პრეზიდენტმა ოლიანტა უმალამ „კაშკაშა გზის“ წინააღმდეგ განხორციელებულ ამ ოპერაციას უწოდა სერიოზული დარტყმა ტერორიზმზე.

ისრაელმა ეილათისკენ გაშვებული რაკეტა ჩამოაგდო

ქვეყნის სამხრეთში, საკურორტო ქალაქ ეილათისკენ გაშვებული რაკეტა წარმატებით ჩამოაგდო რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ „რკინის გუმბათმა“. ეს ეილათის ზონაში ამ სისტემის საბრძოლო გამოყენების პირველი შემთხვევაა. ამ ქალაქს, ძირითადად, ეგვიპტიდან ესვრიან, სინას ნახევარკუნძულის იმ ზონიდან, სადაც რადიკალი ისლამისტების ჯგუფები დათარეშობენ. ქალაქში არავინ დაჭრილა და არც ნგრევა ყოფილა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ბრიტანეთი გიბრალტარელების დასაცავად სასამართლოში იჩივლებს?

მსგავს სასამართლო განხილვას ევროკავშირის შიგნით არასდროს ჰქონია ადგილი, დასძინა დაუნინგ სტრიტის წარმომადგენელმა.

ესპანეთი ამტკიცებს, რომ ასეთი შემოწმება კონტრაბანდასთან საბრძოლველად არის საჭირო და საზღვარზე კონტროლის შესუსტებას არ აპირებს. ესპანეთის მთავრობა თავის მხრივ გეგმავს დავის განხილვას გაეროს უშიშროების საბჭოში, სადაც მას პრინციპში შეიძლება, არგენტინის მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს, თუმცა რამდენად დაეხმარება ეს ვეტოს უფლების მქონე ბრიტანეთთან დავაში, ძნელი სათქმელია. ფოლკლენდის კუნძულების (ბრიტანეთის და არგენტინის ომის მიზეზი) და გიბრალტარის პრობლემები ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ საერთოც აქვთ. განსახილველ საკითხებში შეიძლება, სადავო წყლები და ვიწრო ზოლი შევიდეს, რაც გიბრალტარს ესპანეთთან აერთებს, ასევე ბრიტანეთის მიერ გაეროს წინა რეზოლუციების შეუსრულებლობა.

ლონდონსა და მადრიდს შორის ამჟამინდელი დავა გამოიწვია გიბრალტარის ხელისუფლების გადაწყვეტილებამ, ააგოს ხელოვნური რიფი ნაპირის მიმდებარე წყლებში. ესპანეთის მტკიცებით, ეს რეგიონში თევზჭერას დაღუპავს. ესპანეთმა ამ გადაწყვეტილების პასუხად საბაჟო კონტროლი გაამკაცრა, რამაც გრძელი რიგები შექმნა. ხალხი საზღვრის გადაკვეთას რამდენიმე საათს ანდომებს. ამას გარდა, ესპანეთი აცხადებს, რომ აპირებს 50 ევროს ოდენობით გადასახადის შემოღებას თითოეულ ავტომობილზე, რომელიც გადაკვეთს გიბრალტარის და ესპანეთის საზღვარს ნებისმიერი მიმართულებით.

ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენელმა ამ ნაბიჯს „არაპროპორციული და პოლიტიკურად მოტივირებული“ უწოდა. სავარაუდო სამართლებრივ მოქმედებებზე საუბრისას მან თქვა, რომ «თუ ჩვენ ამ გზით წავალთ, შევეცდებით, ევროკავშირისგან დაუყოვნებლივ ჩარევას მივაღწიოთ». მანვე დასძინა, რომ ჯერ უცნობია, ევროკავშირმა რა სამართლებრივი მექანიზმები შეიძლება გამოიყენოს, თუმცა ეს უკვე ბრიუსელის პრეროგატივაა - შეიტანოს სიცხადე საზოგადოებაში სავარაუდო სანქციების შესახებ. წინა კვირაში ევროკავშირმა განაცხადა, რომ სიტუაციის შესასწავლად საზღვარზე დამკვირვებლებს ჯგუფს გაგზავნიდა, მაგრამ ეს სექტემბერში ან ოქტომბერში მოხდება.

ამავე დროს ბრიტანეთის სამხედრო საზღვაო ფლოტის საბრძოლო ხომალდების ჯგუფი თავისი მორიგი საზღვაო რეიდისთვის პორტებიდან გამოვიდა. ერთ-ერთი მათგანი, ფრეგატი „ვესტმინსტერსი“ გიბრალტარშიც გაჩერდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიურ დავას დაემთხვა, არც დიდი ბრტანეთი და არც ესპანეთი ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ და ორივე ქვეყანა ამას რუტინულ ღონისძიებას უწოდებს. ერთ-ერთი ბრიტანული გემი ესპანეთის პორტ როტაშიც შევა. მოსახლეობა საზვარზე ჩხრეკით უკვე სერიოზულად შეწუხდა. ხალხს სიცხეში რიგში დგომა უწევს, ეს განსაკუთრებით ძნელია მოხუცებისა და ბავშვებისთვის. გიბრალტარის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ საზღვარს ყოველთვის უპრობლემოდ კვეთდნენ და ასეთი რიგები და შემოწმება არ ახსოვთ. თან მესაზღვრეები და მებაჟეები ხანდახან ხალხს ისე ექცევიან, როგორც დამნაშავეებს - მაგალითად, ჩხრეკისას გადმოსვლას და მზეში დგომას სთხოვენ, თუმცა მანქანებს უფრო ზედაპირულად ამოწმებენ, ვიდრე სკურპულოზურად. გიბრალტარის პოლიციის ცნობით, ხალხს ზიგჯერ ორი-სამი საათი უწევს რიგში დგომა, ზოგჯერ კი, მაგალითად ღამით, რიგები თითქმის არ არის. დიდი რიგებია შაბათ-კვირას.

ექსპერტების აზრით, ბრიტანეთმა შეიძლება, ევროკომისიაში სარჩელი შეიტანოს და თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვის გამო იჩივლოს. საბოლოოდ, ეს საქმე ალბათ ლუქსემბურგში ევროპის სასამართლომდე მივა. გიბრალტარი, ბრიტანეთის ოკეანისგაღმა ტერიტორია ევროკავშირში შედის. აქ სასაზღვრო კონტროლი დასაშვებია, რადგან არც ბრიტანეთი და არც გიბრალტარი შენგენის ხელშეკრულების წევრები არ არიან, თუმცა ნებისმიერი შემოწმება, თუ ის გადაჭარბებულია, შეიძლება, უკანონოდ მიიჩნიონ.

„ბი-ბი-სის“ მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

ამურისპირეთს წყალდიდობა და თურქული უტევს

რუსეთის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთში - ამურისპირეთში უკვე რამდენიმე დღეა, წყალდიდობაა, ამას დაემატა თურქულის ეპიდემიაც. ხელისუფლება მოსახლეობის ევაკუაციას ახორციელებს. საშიში ზონიდან უკვე ათასობით ადამიანია გაყვანილი, თუმცა ზოგ ადგილებში წყალი ჯერ კიდევ მატულობს.

გუშინ ბლაგოვეშჩენსკის რაიონის სოფელ უსტ-ივანოვკას მცხოვრებთა ევაკუაცია თურქულის ეპიდემიის გამო განხორციელდა. მაშველებმა იმ ზონიდან ასევე ადგილობრივი ფსიქონევროლოგიური ინტერნატის 380 პაციენტი გაიყვანეს. ამ შემთხვევაში მიზეზი დატბორვის საფრთხე იყო. მდინარე ზეიაში წყლის დონე მუდმივად მატულობს. ამ რაიონის საშიში ზონიდან წინა დღეებში უკვე, დაახლოებით, 300 კაცი გაიყვანეს.

წყალდიდობა გრძელდება ამ რეგიონის სხვა რაიონებში, მათ შორის თვით ბლაგოვეშჩენსკში, სადაც უკვე 800 საცხოვრებელი სახლია დატბორილი.

თურქული პირველად ივლისის დასაწყისში ამურის ოლქის ბლაგოვეშჩენსკის რაიონის სოფელ გროდეკოვოში დაფიქსირდა. სოფლის მეურნეობს სამინისტროს ამურისპირეთის განყოფილების ცნობით, ინფექცია რუსეთში წყლით ჩავიდა ჩინეთიდან, მას შემდეგ, რაც იქ საძოვრები დაიტბორა. კარანტინი გროდეკოვოში 25 ივლისს მოიხსნა. საგანგებო სიტუაციების სამინისტროს საოლქო სამმართველოს ცნობით, 10 ივლისს მიიღეს ცნობა უსტ-ივანოვკაში საქონლის მასობრივი დაავადების შესახებ. დიაგნოზი „თურქული“ 754 ცხოველს დაუდასტურდა. ეს სოფელიც ჩინეთის საზღვართან ახლოს მდებარეობს და კარანტინი იქაც შემოიღეს. საგანგებო სიტუაციების სამინისტრო აცხადებს, რომ ამჟამად ინფექციის გავრცელების და მისი სასიცოცხლო უზრუნველყოფის სისტემებში მოხვედრის საშიშროება არ არის.

მთლიანად ამურის ოლქში, საგანგებო სიტუაციების სამინისტროს ცნობით, დატბორილია 1515 საცხოვრებელი სახლი და 2856 ეზო. საშიში ზონებიდან ევაკუირებულია 4600 ადამიანი, ზოგ სახლში წყალი იატაკიდან ერთი მეტრის სიმაღლეზეა.

ამურისპირეთში უახლოეს დღეებში კვლავ ქარიშხალი და წვიმაა მოსალოდნელი. წყლის დიდმა მასამ ბლაგოვეშჩენსკამდე ორი დღის წინ მიაღწია. ამ ქალაქში წყალმა, სახლების დატბორვის გარდა, მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო სამეურნეო მიწების 45 ათასი ჰექტარი დაფარა. მძიმე მდგომარეობაა მეცხოველეობაში, წყალი ყოველდღიურად სულ უფრო მეტ სათიბს ტბორავს. ზარალი უკვე მილიონობით რუბლით განისაზღვრება.

წყლის დონის სწრაფი მატების გამო (დღე-ღამეში 30 სანტიმეტრით) ბურეისკის ჰიდროელექტროსადგურიდან დიდი რაოდენობით უშვებენ წყალს. ყველაზე პესიმისტური პროგნოზით, თუ წყლის დაუგეგმავი გამოშვება გაგრძელდა, ამან შეიძლება, ებრაული ავტონომიური ოლქის და ხაბაროვსკის მხარის მოსახლეობაც დააზარალოს.

ამ მომენტისთვის სტიქიასთან ბრძოლაში 10 ათას კაცზე მეტი მონაწილეობს. მათი მესამედი საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სხვა რეგიონებიდან ჩასული სპეციალისტები არიან. სტიქიასთან ბრძოლაში აქტიურად არის ჩართული შორეული აღმოსავლეთის უმაღლესი საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებელი. კურსანტებმა და მათმა ლექტორებმა ბლაგოვეშჩენსკში, ერთ-ერთ ქუჩაზე 80 მეტრის სიგრძის დამბა ააგეს. კურსანტები აქტიურად მონაწილეობენ მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან და ფერმერული მეურნეობებიდან მოსახლეობის და ქონების ევაკუაციაში. მათ გადაარჩინეს ბლაგოვეშჩენსკის საბავშვო ბიბლიოთეკაც.

თუმცა ამ ყველაფერს ხმაურიც ახლავს, რომელიც სკანდალურად ცნობილმა ბალერინამ ანასტასია ვოლოჩკოვამ გამოიწვია. ის შორეულ აღმოსავლეთში საქველმოქმედო ტურს ატარებს და მათ შორის მოინახულა წყალდიდობის ზონაც. გუშინწინ ბლოგერების და ინტერნეტმომხმარებლების დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია მისმა ფოტოსესიამ ბლაგოვეშჩენსკიდან - ის ფეხშიშველი იდგა წყალში ექსკავატორის ციცხვზე, გარშემო კი ხალხიც ჩანდა. გუშინ სოციალური ქსელებით ვოლოჩკოვამ გაავრცელა განცხადება, რომ ამით მას სურს, ხალხის ყურადღება ტრაგედიისკენ მიაპყროს, რადგან მისი მასშტაბების დანახვა ტელესიუჟეტებით შეუძლებელია. მან ასევე ბრალი დასდო საგანგებო სიტუაციების სამინისტროს სპეციალისტებს, რომ ისინი სტიქიის ზონაში ნასვამები „დაბორიალებენ“. ამ შეურაცხყოფამ ეს უწყება აღაშფოთა და მათ საკუთარი მუშაობის შედეგებზე ვრცელი ინფორმაცია გაავრცელეს.

მოამზადა *ივა შილაკაძემ*

იაპონელი მუსიკოსის ქართული მუზები

პირველი გვერდიდან

აქედან ორის მთავარი გმირი კი იაპონელი პიანისტი კეიკო მაცუი გახლდათ, რომელიც ერთგვარი პრეცედენტის შექმნელიც გახდა - მსმენელი მოთხოვნით მან დამატებითი კონცერტი გამართა, რისთვისაც «ისტერნ პრომოუშენმა» უკრაინელ კოლეგებს გეგმები ოდნავ «აურია».

თუმცა ეს უკვე ძველი ამბავია - კეიკო მაცუის კონცერტები ჯაზსერიის ისტორიაა, თავად მუსიკოსმა კი საქართველოში სტუმრობით საკუთარი კარიერის პატარა ისტორია შექმნა.

თუ კეიკო მაცუის ოფიციალურ ვებგვერდზე შეხვალთ, ახალ ალბომ Soul Quest-ის ქოვერს დაინახავთ, გვერდით კი ვიდეო ლინკია, რომლის გახსნის შემდეგაც შეგიძლიათ ოთხწუთიანი კომპოზიცია მოისმინოთ. ერთი შეხედვით აქ განსაკუთრებული არაფერია - მსგავსი ანონსი ყველა მუსიკოსის ახალ ალბომს ახლავს, თუმცა ჩვენთვის იმ მხრივ გახლავთ საინტერესო, რომ კომპოზიციას «შავი ლომი» ჰქვია, ამ სახელწოდებას კი მუსიკოსი ნიკო ფიროსმანს დაესესხა.

კეიკო მაცუი ამის შესახებ ერთ-ერთ ინტერვიუში საუბრობს: «საქართველოში გამართული კონცერტის შემდეგ რესტორან «შავ ლომში» მიგვიწვიეს. სწორედ იქ ვნახე ნახატი, რომელმაც მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. მასპინძლებმა ამიხსნეს, რომ ეს გახლდათ ცნობილი ქართველი მხატვრის, ნიკო ფიროსმანის ნამუშევრის რეპროდუქცია, თავად მხატვარზე კი მიამბეს, რომ დიდი სიყვარულისგან მიღებული განცდებისგან იტანჯებოდა.» ნახატისა და მისი ავტორის შესახებ ნაამბობით შთაგონებულმა მუსიკოსმა მალევე შექმნა ზემოთ ნახსენები კომპოზიცია და ის ახალი ალბომის მეორე ტრეკად განათავსა. «შავ ლომში» მარტივად შეიძლება კეიკო მაცუის ხელწერის ამოკითხვა, კომპოზიცია ზოგგან სევდიანად ჟღერს, ზოგგან მაჟორულ, იმედისმომცემ ნოტებად იშლება, მელოდიურობა კი, როგორც მაცუის მთელ შემოქმედებას, მასაც არ აკლია.

ეს ყველაფერი არ გახლავთ: ალბომის მეოთხე ტრეკიც საქართველოდან წაღებული შთაბეჭდილებითაა შექმნილი. მას A Night With Cha Cha ჰქვია Cha Cha კი სხვა არაფერია, თუ არა ჭაჭა - ამ სასმელს კი ნამდვილად შეუძლია მუზების მთელი არმიის მორეკვა...

ზოგადად 2013 წელი კეიკო მაცუისთვის მნიშვნელოვანია. წელს 25 წელი სრულდება მას შემდეგ, რაც მუსიკოსმა საერთაშორისო კარიერა დაიწყო და პირველი ამერიკული ალბომი ჩაწერა, რასთან დაკავშირებითაც ამერიკის ქალაქებში ტურნეს მართავს: აგვისტოს განმავლობაში კალიფორნიას მოივლის, შემდეგ კი ლას ვეგასსა და სიეტლში გადაინაცვლებს.

როგორც მუსიკალური პრესა წერს, Soul Quest კეიკო მაცუის ყველაზე მრავალმხრივი, გლობალურად განზოგადებული ნამუშევარია. მასში შესული კომპოზიციების უმეტესობა ტურნეში ყოფნისას იქმნებოდა, ამრიგად ინსპირაციის წყარო ყოველთვის განსხვავებული, უცხო და შთამბეჭდავი იყო. ალბომში მოწოდებაც ისმის - კომპოზიცია Antarctica - A Call To Action ანტარქტიდის ეკოლოგიურ მდგომარეობას ეხმიანება. ეს კომპოზიცია კეიკო მაცუიმ დრამერ და პროდუსერ ნარადა მაიკლ უალდენთან ერთად შექმნა, ეს უკანასკნელი კი თავად ალბომის ჩაწერაშიც მონაწილებდა. მასთან ერთად სტუდიაში ასევე მუშაობდნენ გიტარისტი ჩაკ ლები, საქსოფონისტი კირკ უალუმი და ჩვენთვის კარგად ნაცნობი ბასისტი მარკუს მილერი, რომლის შესახებ ქვემოთ კიდევ ერთ ამბავს გეტყვით.

მანამდე კი ისევ კეიკო მაცუის მოივუსმინოთ: «ამ ალბომის შექმნის პროცესი ჩემთვის მართლაც სულის ძიება აღმოჩნდა. გამუდმებით ვფიქრობდი და ვაფასებდი იმ გამოცდილებას, რომელიც გასული წლის განმავლობაში დავაგროვე. ალბომზე ძალიან სერიოზული განწყობით ვიმუშავე. მოგზაურობისას მუდამ თან მქონდა ბლოკნოტი, სადაც საინტერესო დეტალებს ვინიშნავდი. ეს ჩანაწერები ფოკუსირებაში დამეხმარა. შედეგი კი სწორედ ისეთია, როგორსაც ველოდი - Soul Quest-ში თავმოყრილი მუსიკა დიდ ენერგიას მმატებს და ემოციურად მტვირთავს. იმედი მაქვს, მსმენელი ზუსტად ჩაწვდება სათქმელს და ჩემი არაჩვეულებრივი მოგზაურობის ნაწილი გახდება. მსმენელი კი ჩემთვის უმთავრესია. სწორედ მათ ეძღვნება პირველი კომპოზიცია Dream Seeker. ეს არის ჩემი გზავნილი მთელ კაცობრიობას - მინდა, ყველას ჰქონდეს ოცნება, რომელსაც გაჰყვება.»

რაც შეეხება მარკუს მილერს, ეს კეიკო მაცუისთან მისი პირველი თანამშრომლობაა, რაზეც მაცუი ამბობს: «მარკუსის მიერ შექმნილი ტრეკი იმდენად მომეწონა, რომ ავტირდი. მასთან მუშაობა ჩემთვის დიდი გამოცდილება იყო». იაპონელი მუსიკოსი სწორედ იმ მარკუს მილერზე საუბრობს, რომელთან მესამე შეხვედრა ჩვენს მსმენელს ოქტომბერში დაგეგმილ თბილისის ჯაზფესტივალზე ელის (იგი ბენდთან ერთად ჩამოდის, რომლის შემადგენლობაშიც ასევე ჩვენთვის კარგად ნაცნობი საქსოფონისტი ალექს ჰანი შედის). მისი შოუ 28 ოქტომბერს გაიმართება, მომდევნო დღეს კი ავიშაი კოენისა და ბენდის კონცერტია ჩანიშნული. თბილისის ჯაზფესტივალის სრული პროგრამა ჯერ ცნობილი არ გახლავთ, ყველა უახლეს ინფორმაციას კი სწორედ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან შეიტყობთ.

ნოემბერი ტესტებისაა

2015 წლის მორაგბეთა მსოფლიო თასის მნიშვნელოვანი ფაზის მოახლოებასთან ერთად, სამოა, ფიჯი, ტონგა, რუსეთი, აშშ, კანადა, რუმინეთი, იაპონია, ურუგვაი, პორტუგალია, საქართველო, ჩილე, ბრაზილია და ესპანეთი პირველი დონის სარაგბო ქვეყნებთან თამაშის მიზნით დაუპირისპირდებიან ოკეანეთის სამ გუნდს. ანუ მსოფლიო თასისთვის მოსამზადებლად მეორე დონის სარაგბო ქვეყნები ჯამში 22 ტესტს გამართავენ მიმდინარე წლის ნოემბერში.

ნოემბრის ტესტების ფარგლებში დაგეგმილია ოკეანეთის ორი გუნდის ისტორიული ვიზიტი: სამოა ესტუმრება საქართველოს, ხოლო ტონგა - რუმინეთს. გარდა ამისა, პორტუგალიის ნაკრები სან პაულოში ესტუმრება ბრაზილიას.

2019 წლის მსოფლიო თასის მასპინძელი იაპონია ნოემბრის სატესტო ფანჯრის ფარგლებში ევროპაში გამგზავრებამდე, სადაც ისინი შოტლანდიას, რუსეთსა და ესპანეთს დაუპირისპირდებიან, შინ, ტოკიოში, «ოლ ბლექს» ეთამაშებიან.

IRB-ის თავმჯდომარემ ბერნარ ლაპასემ განაცხადა: „ეს მსოფლიოს მასშტაბით, სარაგბო თვალსაზრისით, შესანიშნავი პერიოდია. რაგბის მსოფლიო თასის მიმდინარე კომერციული წარმატებების გათვალისწინებით, რაგბის საერთაშორისო საბჭოსთვის შესაძლებელი გახდა თამაშში სარეკორდო ოდენობის თანხის ინვესტირება.“

„2012 წლის ნოემბრისა და 2013 წლის ივნისის პროგრამის ფარგლებში ჩვენ უამრავი დაძაბული მატჩის მომსწრენი გავხდით. შეიძლება ითქვას, რომ მეორე დონის ქვეყნებმა საგრძნობლად გააუმჯობესეს თამაში. მაგალითად, სამოამ დაამარცხა უელსი, შოტლანდია და იტალია; ტონგამ შოტლანდიას სძლია, იაპონიამ კი, იაპონური რაგბის ისტორიაში პირველად, უელსის ნაკრებს მოუგო. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, შემიძლია ვთქვა, რომ ნოემბრის ტესტ-სერიის ფარგლებში ბევრი დაძაბული და საინტერესო მატჩი გველის.“

დატვირთული ივნისის გრაფიკის გათვალისწინებით, 2013 წელი შეიძლება ჩავთვალოთ უპრეცედენტო წლად მეორე დონის ქვეყნებისთვის - წყნარი ოკეანის ერთა თასს დაემატნენ კანადა და აშშ-ის ნაკრებები.

ივნისში საქართველოში აგრეთვე დასაბამი დაედო IRB თბილისის თასს, სადაც მასპინძლებმა მიიღეს ურუგვაის ეროვნული ნაკრები და სამხრეთ აფრიკისა და ირლანდიის განვითარებადი სანაკრებო გუნდები.

რაგბის მსოფლიო თასის, როგორც ერთ-ერთი გლობალური ბრენდის წარმატებამ, რაგბის საერთაშორისო საბჭოს მისცა შესაძლებლობა მეორე დონის ქვეყნებისთვის ნოემბრისა და ივნისის მნიშვნელოვანი საერთაშორისო ფანჯრის ფარგლებში დაეფინანსებინა უპრეცედენტო ყოველწლიური მატჩების განრიგი.

„ნოემბრის ტესტებს უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია იმ რაგბის კავშირების განვითარებაში, რომლებიც IRB-ის მიერ აღიარებულნი არიან მნიშვნელოვანი სტრატეგიული ინვესტირების პროგრამის მონაწილეებად,“ - განაცხადა მარკ იგანმა, რაგბის საერთაშორისო საბჭოს საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარემ.

„ეს მსოფლიო სარეიტინგო მატჩები მწვრთნელებისთვის შესაძლებელს გახდის, მორაგბეები შეაფასონ კონკურენტუნარიან გარემოში. გარდა ამისა, ეს IRB-ს მისცემს შესაძლებლობას, შეაფასოს მეორე დონის მოწინავე ქვეყნების სათამაშო პროგრესი როგორც ერთმანეთთან მატჩებში, ისე პირველი დონის ქვეყნების ნაკრებების წინააღმდეგ.“

„ჩვენ ასევე ვმუშაობთ იმაზე, რომ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ნამიბია, მიეცეთ ტესტ-მატჩების ჩატარების საშუალება. იმედი გვაქვს, უახლოეს მომავალში გამოვაქვეყნებთ ნოემბრის კიდევ რამდენიმე ტესტს.“

რაგბის საერთაშორისო საბჭო ყოველწლიურად 10.5 მილიონ ფუნტზე მეტ ინვესტიციას ახორციელებს სანაკრებო პროგრამებში და მეორე დონის ქვეყნებისთვის გასამართი მატჩებისთვის.

IRB ასევე განაგრძობს ახლად დაფუძნებული და წარმატებული ტურნირების დაფინანსებას, ისეთების, როგორებიცაა IRB წყნარი ოკეანის ერთა თასი, ამერიკის კონტინენტური სარაგბო ჩემპიონატი, IRB ერთა თასი და IRB თბილისის თასი.

მანუ სამოა

რეიტინგის მოწინავე რვა საუკეთესოთა შორის არის და 2015 წლის მსოფლიო თასზე მეორე დონეზე განითესა.

მანუს ბირთვი ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ახალ ზელანდიაში მოღვაწეობს.

სამოა 2010 და 2012 წლებში „წყნარი ოკეანის თასის“ ჩემპიონი იყო, წელს კი სამხრეთ აფრიკაში, „ქასლ ლაგერის თასზე“, სძლია შოტლანდიას, იტალიას და მეორე ადგილი დაიკავა.

მანუ წინა საუკუნეში მსოფლიო თასზე ორჯერ (1991 და 1995) გავიდა მეოთხედფინალში.

სამოას შვიდკაცამ 2010 წელს მოიგო მსოფლიო სერია და მუდამ ლიდერთა შორისაა.

2011 წლის ივნისში IRB მსოფლიო 20 წლამდელთა ალაფის ფარგლებში თბილისში გვესტუმრა მანუ სამოას ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც ამ გათამაშებაში პირველი ადგილი დაიკავა.

გუნდი თამაშის წინ ასრულებს მისალმებას, რომელსაც ჰქვია „სივა ტაუ“.

კანადა (ნეკერჩხლის ფოთლები)

რაგბის მე-19 საუკუნეში ეზიარა, მაგრამ ბრიტანული თამაში მოექცა მისგანვე გამოყოფილი, ადგილობრივი ბურთაობის ჩრდილში და რაგბის კავშირად 100 წლის შემდეგღა გაფორმდა.

პირველი სარაგბო მატჩი 1864 წელს, მონრეალში, სამხედროებს შორის გაიმართა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ რაგბი ქვეყანაში სწრაფად განვითარდა. საზღვარგარეთ მყოფ კანადელ სამხედრო მოსამსახურეთა გუნდი 1919 წელს სტუმრად ეთამაშა ინგლისის, სამხრეთ აფრიკის, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის წარმომადგენლებს. 1929 წელს შეიქმნა კანადის რაგბის კავშირი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თითქმის მთლიანად დაიშალა. 1974 წელს კანადის რაგბის კავშირს «რაგბი კანადა“ დაერქვა და მას შემდეგ ქვეყნის ნაკრებმა შვიდივე მსოფლიო თასზე მიიღო მონაწილეობა, 1991 წლის ინგლისში გამართულ მსოფლიო თასზე კი მეოთხედფინალში გავიდა.

აშშ (არწივები)

ჩრიდილოელი მეზობლების მსგავსად, აშშ-ში რაგბი მე-19 საუკუნეში შევიდა, მაგრამ მას შემდეგ, ისევ ადგილობრივი თამაშობების გამო, პოპულარობა ვერ მოიპოვა. ამერიკის შეერთებული შტატების რაგბის კავშირი დაარსდა 1975 წელს. 1987 წელს აშშ-ის რაგბის კავშირი IRB-მ მიიწვია მსოფლიო თასის პირველ გათამაშებაზე ახალ ზელანდიაში, რის შემდეგაც აშშ-ის რაგბის კავშირი IRB-ს წევრი გახდა. ეროვნულ ნაკრებს «არწივები“ ჰქვია. ქვეყნის ნაკრებმა გამართული შვიდი მსოფლიო თასიდან ექვსში მიიღო მონაწილეობა.

ბორჯღალოსნების ნოემბრის ტესტები და სტატისტიკა

9 ნოემბერი, 2013
საქართველო - კანადა
16 ნოემბერი, 2013
საქართველო - აშშ
23 ნოემბერი, 2013
საქართველო - სამოა

ამინდი

აბასთუმანი	-2°C - -9°C
ბათუმი	12°C - 8°C
ზუგდიდი	8°C - 4°C
თბილისი	12°C - 2°C
ქუთაისი	9°C - 5°C
სამტრედია	8°C - 5°C
გორი	9°C - -4°C
სენაკი	9°C - 6°C
წინანდალი	11°C - 1°C
გონიო	12°C - 7°C
მანგლისი	5°C - -5°C
გუდაური	-3°C - -16°C
მესტია	2°C - -11°C
ბოლნისი	11°C - -2°C
ლაგოდეხი	11°C - -2°C
ბაკურიანი	-3°C - -10°C
ბორჯომი	6°C - -3°C
საჩხერე	8°C - 1°C
მცხეთა	11°C - -1°C
სოხუმი	10°C - 6°C
ურეკი	9°C - 7°C
ხაშური	7°C - -2°C
ზესტაფონი	9°C - 2°C
ფოთი	9°C - 7°C
ცხინვალი	6°C - -4°C
შატილი	-3°C - -8°C
რუსთავი	13°C - 1°C
თელავი	11°C - 1°C
კასპი	10°C - -2°C
გურჯაანი	10°C - -1°C
სიღნაღი	10°C - 0°C
მარნეული	11°C - -2°C
წყნეთი	10°C - -2°C
სიონი	3°C - -7°C
სურამი	7°C - -2°C
თიანეთი	8°C - -3°C
ხარაგაული	9°C - 1°C
ჭიათურა	7°C - -1°C
ხობი	9°C - 6°C
ლანჩხუთი	10°C - 6°C
ჩოხატაური	9°C - 4°C
ოზურგეთი	10°C - 4°C
ქობულეთი	12°C - 8°C
ონი	6°C - -4°C
ამბროლაური	4°C - -4°C
ომალო	0°C - -6°C
ახალციხე	5°C - -3°C
უშგული	-5°C - -14°C
დავით-გარეჯი	9°C - 0°C

ათენი	13°C - 11°C
ანტალია	15°C - 8°C
ბაქო	9°C - 3°C
ბუდაპეშტი	2°C - -2°C
ერევანი	7°C - -1°C
ვენა	-1°C - -4°C
კიევი	1°C - -3°C
თელ-ავივი	22°C - 14°C
ლონდონი	3°C - -3°C
მოსკოვი	-8°C - -15°C
მიუნხენი	-2°C - -7°C
ნიუ-იორკი	1°C - -3°C
პრაღა	-3°C - -8°C
სტამბული	11°C - 8°C
პარიზი	3°C - -4°C
რომი	13°C - 5°C
ბერლინი	-2°C - -7°C
პეკინი	7°C - -2°C
ტოკიო	7°C - 2°C
დელი	23°C - 12°C
მინსკი	-5°C - -8°C
ტალინი	-4°C - -7°C
ასტანა	-10°C - -16°C
ბიშკეკი	9°C - -3°C
დუბაი	25°C - 18°C
დუშანბე	16°C - 6°C
ვილნიუსი	-5°C - -11°C
იოჰანესბურგი	-3°C - -8°C
იოჰანესბურგი	-1°C - -9°C
კაირო	26°C - 16°C
კიშინიოვი	6°C - -1°C
კოპენჰაგენი	0°C - -5°C
ოსლო	-2°C - -8°C
რეიკიავიკი	8°C - 6°C
რიგა	-6°C - -12°C
სტოკჰოლმი	-3°C - -8°C
ტაშკენტი	9°C - 1°C
ჰელსინკი	-2°C - -6°C
ბარსელონა	16°C - 9°C
ბუქარესტი	8°C - 2°C
ვარშავა	-1°C - -5°C
ლისაბონი	17°C - 11°C
მადრიდი	13°C - 6°C
ნეაპოლი	14°C - 6°C
სოფია	9°C - 1°C
სტრასბურგი	-4°C - -7°C
ჰამბურგი	-3°C - -5°C
ფრანკფურტი	-3°C - -9°C

ვალუტის კურსი

AED	10	არაბეთის საამიროების დირჰამი	4.5105
AMD	1000	სომხური დრამი	4.0407
AUD	1	ავსტრალიური დოლარი	1.5310
AZN	1	აზერბაიჯანული მანათი	2.1119
BGN	1	ბულგარული ლევი	1.1152
BRL	1	ბრაზილიური რიალი	0.7422
BYR	10000	ბელორუსული რუბლი	1.8719
CAD	1	კანადური დოლარი	1.6023
CHF	1	შვეიცარიული ფრანკი	1.7642
CNY	10	ჩინური იუანი	2.6994
CZK	10	ჩეხური კრონა	0.8392
DKK	10	დანიური კრონი	2.9261
EGP	10	ეგვიპტური გირვანქა	2.3661
EUR	1	ევრო	2.1822
GBP	1	ინგლისური გირვანქა	2.5419
HKD	10	ჰონკონგური დოლარი	2.1355
HUF	100	უნგრული ფორინტი	0.7394
ILS	10	ისრაელის შეკელი	4.6390
INR	100	ინდური რუპია	2.7732
IRR	10000	ირანული რიალი	0.6737
ISK	100	ისლანდიური კრონი	1.3732
JPY	100	იაპონური იენი	1.6576
KGS	100	ყირგიზული სომი	3.3810
KWD	1	ქუვეითური დინარი	5.8147
KZT	100	ყაზახური ტენგე	1.0825
LTL	10	ლიტვური ლიტი	6.3258
LVL	1	ლატვიური ლატი	3.1081
MDL	10	მოლდავური ლეი	1.2938
NOK	10	ნორვეგიული კრონი	2.7924
NZD	1	ახალზელანდიური დოლარი	1.3220
PLN	10	პოლონური ზლოტი	5.1682
RON	10	რუმინული ლეი	4.9390
RSD	100	სერბიული დინარი	1.9252
RUB	100	რუსული რუბლი	5.1271
SEK	10	შვედური კრონი	2.5539
SGD	1	სინგაპურული დოლარი	1.3090
TJS	10	ტაჯიკური სომონი	3.4743
TMT	10	თურქმენული მანათი	5.8126
TRY	1	თურქული ლირა	0.8651
UAH	10	უკრაინული გრივნა	2.0726
USD	1	აშშ დოლარი	1.6566
UZS	1000	უზბეკური სომი	0.7871
ZAR	10	სამხრეთაფრიკული რანდი	1.6846
KRW	1000	სამხრეთ კორეული ვონი	1.4831
QAR	10	ყატარული რიალი	4.5497

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	3.20	+0.01	+0.28%
გაზი	3.57	-0.02	-0.53%
ოქრო	1,737.90	-6.80	-0.39%
ხორბალი	867.75	-0.75	-0.09%
S&P/TSX Composite Index	12,810.20	+123.58	+0.97%
Nasdaq Composite Index	3,213.59	+21.56	+0.68%
Dow Jones Industrial Average	14,035.70	+53.91	+0.39%

SAMSUNG-ის პრეზიდენტმა საქართველოში კომპანიის პირველ მაღაზია და სმარტსკოლა გახსნა

კომპანია SAMSUNG-ის პრეზიდენტი ბი ქეი იუნი (Boo-Keun Yoon) საქართველოს საგანგებო ვიზიტით ესტუმრა. მსოფლიოში ტექნიკის ბაზარზე ლიდერი კომპანიის პრეზიდენტმა ერთდღიანი ვიზიტის დროს საქართველოში SAMSUNG-ის პირველი ოფიციალური მაღაზია და კომპანიის ინვესტიციით გაკეთებული სმარტსკოლა გახსნა.

ვიზიტის ფარგლებში ბი ქეი იუნმა, საზეიმო ვითარებაში, სრულიად ახალი კონცეფციის მქონე პრემიუმკლასის მაღაზია ჭავჭავაძის N48-ში გახსნა. ახალ მაღაზიაში წარმოდგენილია მოწინავე ტექნოლოგიებისა და პრემიუმკლასის ტელევიზორების, მობილურების, ფოტოაპარატების და სხვა ტექნიკის მოდელები. „ამ მაღაზიაში აქცენტი გაკეთდება არა რაოდენობაზე, არამედ ხარისხზე. მომხმარებლებს მოემსახურებიან SAMSUNG-ის კონსულტანტები, ე.წ. „ელჩები“, რომლებიც დაწვრილებით გააცნობენ და აუხსნიან პროდუქციის უპირატესობებსა და ფუნქციებს. ამ მაღაზიით ჩვენ წარმოვადგენთ ახალ ხედვას, თუ როგორი უნდა იყოს პრემიუმკლასის მაღაზია და მომსახურება,“ - აცხადებს SAMSUNG-ის პრეზიდენტი ბი ქეი იუნი.

მაღაზიის გახსნის ცერემონიის შემდეგ SAMSUNG-ის პრეზიდენტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაინაცვლა, სადაც განათლების მინისტრ თამარ სანიკიძესთან, ვიცე-პრემიერთან, ეკონომიკის მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან და რექტორის მოვალეობის შემსრულებელ ალექსანდრე კვიტაშვილთან ერთად სმარტსკოლის კლასი გახსნა.

კომპანიის მენეჯმენტში აცხადებენ, რომ სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, ეს არის პირველი პროექტი, რომელიც SAMSUNG-მა საქართველოში განახორციელა. სმარტსკოლა წარმოადგენს სასწავლო აუდიტორიას, რომელიც აღჭურვილია SAMSUNG-ის მაღალი ტექნოლოგიის „თაჩ სქრინით“ და ქსელურად მასზე მიბმული პლანშეტებით. სექტემბრისთვის ანალოგიურ კლასს SAMSUNG-ი GIPA-შიც გახსნის. მსგავსი კლასების მოწყობა პირველ საჯარო სკოლაში და პროფესიულ სასწავლებლებშიც იგეგმება.

„მოხარულნი ვართ ბატონი ბი ქეი იუნის საქართველოში სტუმრობით, მივესალმებით კომპანია SAMSUNG-ის მიერ განხორციელებულ პროექტს და სამომავლო გეგმებს. განათლების სფეროში კერძო სექტორის ჩართულობა განათლების სამინისტროს სტრატეგიის ნაწილია. ვფიქრობ, ახალგაზრდების სწავლის დონის ამაღლებაში კომპანია დიდ წვლილს შეიტანს,“ - განაცხადა განათლების მინისტრმა თამარ სანიკიძემ.

„მოხარულნი ვართ, რომ სმარტსკოლის პირველი კლასი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კომპანია Samsung-ის მხარდაჭერით გაიხსნა. ეს არის კერძო კომპანიის და უნივერსიტეტის თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითი და იმედი გვაქვს, უნივერსიტეტში სმარტსკოლის გახსნა ჩვენი გრძელვადიანი თანამშრომლობის დასაწყისი იქნება. ეს სიახლე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს უნივერსიტეტის განვითარებაში,“ - განაცხადა რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„მოხარულნი ვარ საქართველოში სტუმრობით. სოციალური პასუხიმგებლობის პლატფორმის ფარგლებში, სმარტსკოლა ჩვენი პირველი პროექტია, რომელსაც ძალზედ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ და უფრო მასშტაბურს გავხდით. ასევე ვაპირებთ, წარმატებული სტუდენტებისათვის SAMSUNG-ის სტიპენდია დავაწესოთ და განათლების დონის ამაღლებას ხელი შევუწყოთ,“ - განაცხადა SAMSUNG-ის პრეზიდენტმა ბი ქეი იუნმა.

ბი ქეი იუნი SAMSUNG-ის გენერალურ დირექტორად და პრეზიდენტად 2012 წელს დაინიშნა. სწორედ მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გახდა SAMSUNG-ი მსოფლიოში № 1 კომპანია LED ტელევიზორების, მონიტორების, მოწინავე ტექნოლოგიების, 3D TV, Smart TV-ს და სხვა მიმართულებების მხრივ.

კომპანია SAMSUNG-ი 1938 წელს შეიქმნა და დღეს ელექტროტექნიკის მწარმოებელი უდიდესი კომპანიაა.

კროსვორდები



დღეს საქართველო ყაზახეთთან ამხანაგურად ითამაშებს

საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა ყაზახეთის დედაქალაქ ასტანაში ამავე ქვეყნის ეროვნულ გუნდთან ამხანაგური შეხვედრისთვის ასტანას ცენტრალურ სტადიონზე გუშინ სრული შემადგენლობით ივარჯიშა.

თემურ ქეცბაიას ყაზახეთის ნაკრებთან სათამაშოდ გორის «დილას“ ფეხბურთელი ლაშა გვალიაც ჰყავდა გამოძახებული, თუმცა მან კლუბის ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო ყაზახეთში გამგზავრება ვერ მოახერხა.

ყაზახეთის ნაკრებთან მატჩამდე მოწყობილ გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თემურ ქეცბაიამ განაცხადა, რომ ყაზახეთში გასამარჯვებლად ჩავიდა. უფრო დაწვრილებით პრესკონფერენციის დეტალებს იტერნეტგამოცემა sports.kz იუწყება.

თემურ ქეცბაია: ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციას 100 წლისთავს ვულოცავ. მართალი რომ ვთქვა, მატჩისთვის ბოლომდე ვერ მოვემზადეთ, რადგან გუნდი სრულად მხოლოდ დღეს შეიკრიბა. ვფიქრობ, მომავალ მატჩში მაყურებლის მოსაწონ ფეხბურთს ვაჩვენებთ.

- მზადების პერიოდში, ყაზახეთის ნაკრების რომელი მატჩი ნახეთ?

- ყაზახეთის ნაკრების მიერ ბულგარეთთან ჩატარებული მატჩი ვნახე. ყაზახეთი საინტერესო გუნდია. იოლი თამაში არ იქნება. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ „ასტანა არენაზე“ ხელოვნურსაფარიანი მინდორია, რომელიც თავის როლს ითამაშებს. იმედი გვაქვს, გულშემატკივარი კარგ ფეხბურთს იხილავს.

- ყაზახეთის ნაკრებში ვის გამოარჩევდით?

- ვინმეს გამორჩევა არ მსურს. შემიძლია ვთქვა, რომ ყაზახეთის ნაკრები ძალიან კარგი გუნდია. მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ.

- თუ არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებიც სხვადასხვა მიზეზთა გამო ვერ დაგეხმარებიან?

- დიახ, ასეთები არიან. ზოგიერთს პრობლემები გუნდებში ჰქონდა. საერთო ჯამში, გამოძახებულთა 80 პროცენტი ჩამოვიდა.

- ჩვენ, როგორც „ნიუკასლ იუნაიტედის“ ცნობილი ფეხბურთელი გვახსოვხართ. როგორც მწვრთნელმა, ინგლისური ფეხბურთის სტილი რამდენად გაითავისეთ?

- პირველ ყოვლისა, სულით ქართველი ვარ. მე არა მხოლოდ ინგლისში, არამედ, სხვა ქვეყნებში ვთამაშობდი. ბევრ ძლიერ მწვრთნელთან მიმუშავია, რომლებმაც ბევრი რამ მასწავლეს. ქართული ფეხბურთი ყოველთვის ტექნიკური იყო, მაგრამ ამავე დროს ფიზიკური ძალის გამოყენებაც საჭიროა. ამჟამად, საქართველოს კარგი ახალგაზრდა თაობა იზრდება, რომლებისგან დიდ გამარჯვებებს ველით.

...საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ყაზახეთისა და საქართველოს ნაკრებებს შორის დღეს, ასტანას ცენტრალურ სტადიონზე, თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება და მის ტელეტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი უზრუნველყოფს..

რიოსთვის ძიუდოისტთა ნაკრები გაცხადდა

პირველი გვერდიდან

ნაკრების მთავარი მწვრთნელის ირაკლი უზნაძეს რჩეულთა შორის კი არიან: ევროპის ჩემპიონი ამირან პაპინაშვილი (60 კგ.), ევროპისა და ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი (66 კგ.), ევროპის ვიცე-ჩემპიონი ნუგზარ ტატალაშვილი და ბრინჯაოს მედალოსანი ზებედა რეხვიაშვილი (ორივე - 73 კგ.), ევროპის ჩემპიონი ავთანდილ ჭრიკიშვილი და ბრინჯაოს მედალოსანი ლევან წიკლაური (81 კგ.), კონტინენტის ჩემპიონი ვალერი ლიპარტელიანი (90 კგ.), ევროპის ორგზის ვერცხლის მედალოსანი ლომერ ჟორჟოლიანი (100 კგ.) და ასევე კონტინენტის ვიცე-ჩემპიონი ადამ ოქრუაშვილი (+100 კგ.).

ამ შემადგენლობაში სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა მოსკოვის დიდ სლემზე დაშავებული ლევან წიკლაურის ხილვა (ფეხის ტრავმა მიიღო და მზადების ერთი ეტაპიც გაუცდა). ნაკრების მთავარი მწვრთნელის თქმით, წიკლაური თანდათან ზრდის დატვირთვებს. ამასთან იმედი აქვს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე (26 აგვისტო - 1 სექტემბერი) უკეთეს მდგომარეობაში და სასურველ ფორმაში იქნება. რიოს ტატამამდე კი თითქმის ორი კვირაა დარჩენილი.

უზნაძის გუნდში გამოჩნდა ლომერ ჟორჟოლიანიც, რომელიც საკმაო ხანია საერთაშორისო ასპარეზზე არ გამოჩენილა, თუმცა შეკრებები სრულად გაიარა. უზნაძის თქმით, ჟორჟოლიანის წონაში სამწვრთნელო შტაბმა რამდენიმე ვარიანტი მოსინჯა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ხელშესახები შედეგისთვის არავის მიუღწევია, არჩევანი ძველ გვარდიელზე შეჩერდა. საგულისხმოა ისიც, რომ თუ სხვა წონებში სათადარიგოები კარგად წარმოაჩენდნენ თავს, მწვრთნელები 100 კილოგრამ წონით კატეგორიაზე უარს იტყვოდნენ და მის ხარჯზე სხვა წონაში ორ ძიუდოისტს იახლებდნენ. ის, რომ ჟორჟოლიანი მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადშია უკვე მიუთითებს იმაზე, რომ მსგავსი რამ არ მოხდა - თავი ვერავინ წარმოაჩინა.

საქართველოს ნაკრები აკლიმატიზაციის მიზნით რიო დე ჟანეიროში მსოფლიო ჩემპიონატამდე რვა დღით ადრე - 17 აგვისტოს გაემგზავრება.

ახმეტის მუნიციპალიტეტის შპს ,,თუშური ცხვრის ჯიშსაშენი“ საკუთრებაში არსებული ობიექტების გაყიდვის მიზნით აცხადებს აუქციონს. აუქციონზე გასაყიდად წარმოდგენილი იქნება :

P	ობიექტის დასახელება	ადგილმდებარეობა	ექსპ.შ ესვლის წელი	ერთი ობიექტის ფართი კვ.მ	დაკავ. მიწის ფართი კვ.მ	მიწის ღირებულება	ერთი ობიექტის ფასი	ბეს თანხა	ბიჯის თანხა	სულ ობიექტის საწყისი ფასი	საკადასტრო კოდი
1	მშენებარე საბავშვო ბაღის შენობა	კასრისწყალი		675	675	675	2500	952	320	3495	502731002
2	მშენებარე საცხოვრებელი ბინა	კასრისწყალი		675	675	675	2500	952	320	3495	502731001
3	საღორე 60 დედა ღორზე	ქვ.ალვანი	1963	680	1244.4	896	8000	2670	890	9786	500306504
4	საღორე 108 დედა ღორზე	ქვ.ალვანი	1979	1785	3105	2235	32253	10346		34488	500306499
5	ოთხოთახიანი ბინა	კასრისწყალი	1967	300	720	560	3000	900	600	4160	501402010/001

აუქციონის პირობები:

1.აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.
2.აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება დაიწყება 2013 წლის 14 აგვისტოდან 20 აგვისტოს ჩათვლით,ყოველდღე 10სთ-დან 17სთ-მდე .განცხადებები მიიღება ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვ.ალვანში შპს-ს ადმინისტრაციის შენობაში.
3.აუქციონში მონაწილეობის მისაღებად მსურველებმა რეგისტრატორს უნდა წარუდგინონ შემდეგი საბუთები:
ა.დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.
ბ.პირადობის მოწმობის ასლი.
გ.უპირობო და გამოუხმობადი საბანკო გარანტიის ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.თანხა შეტანილი უნდა იქნეს ,,ლიბერთი ბანკის“ახმეტის ფილიალში შემდეგ ანგარიშზე:GE75LB0113157439569000 დ.აუქციონში მონაწილეობისათვის ბილეთის ფასის,50 ლარის,გადახდის დამადასტურებელი საბამკო ქვითარი.თანხა შეტანილი უნდა იქნეს ზემოთ აღნიშნულ ანგარიშზე.
ე.ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით.
ვ.სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
4.აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებია:ქონების შესასყიდად მაქსიმალური ფასის(არანაკლებ საწყის ფასზე ,,ბიჯის“დამატებით მიღებული თანხისა)დაფიქსირება. აუქციონი გაიმართება 2013 წლის 21 აგვისტოს 12 სთ-ზე ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ალვანში შპს ,,თუშური ცხვრის ჯიშსაშენის“ადმინისტრაციის შენობაში.
დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონზე:349-22-59-99;574-91-12-47; 591 05 79 67
ინტერნეტ გვერდი-www.myakhmeta.ge


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
7 SEPTEMBER
NATIONAL CASTING
TBILISI MALL
14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL
MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
BEAUTY SALON L'Academie
OUtdooR.ge
MSG MARKETING
ADSSPRINT
TBILISI MALL
McCANN TBILISI
Curves
NEPTUN
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink